# სომხების შემოსევები საქართველოში

გულაბერ კლარჯი

Georgian Times

სტატიის თარიღი: 18.07.03

სომხების შემოსევები საქართველოში

დასაწყისი წინა ნომერში

გულაბერ კლარჯი

დაქუცმაცებული სომხეთის დაპყრობას X-XI საუკუნეებში ცდილობდა ბიზანტიის იმპერია და მან დაიპყრო კიდეც ამ ქვეყნის დიდი ნაწილი. ეს საქართველოსთვის საშიში იყო. ბიზანტიის იმპერიას საქართველოს დაპყრობაც ჰქონდა დაგეგმილი, ხშირად ეომებოდა კიდეც ჩვენს ქვეყანას და თუ ბიზანტიელები სომხეთში გაბატონდებოდნენ, საქართველოსაც მეტი ძალებით შემოუტევდნენ. ასეთ ვითარებაში ქართველები და სომხები ერთობლივი ძალისხმევით უნდა აღდგომოდნენ წინ ბიზანტიის აგრესიას. 1045 წელს ბიზანტიელებმა გადაწყვიტეს, საბოლოოდ დაეპყროთ სომხეთის ცენტრალური, ანის-შირაკის სამეფო (სომხეთის მხარე შირაკი და ქართული შირაქი არ უნდა აგვერიოს ერთმანეთში). ბაგრატ IV-მ შეძლო მომხრეების გაჩენა ანისში და ეს ქალაქი და მისი სანახები სომეხთა გარკვეულმა წრეებმა საქართველოს მეფეს გადმოსცეს. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა ბაგრატ IV-ის დედამ მარიამ დედოფალმაც, რომელიც სომეხი მეფის ასული იყო. იმ დროს საქართველოში არსებობდა წესი, რომ საქართველოს მეფის შვილები უცხო ქვეყნის მეფე-მთავართა შვილებზე უნდა დაქორწინებულიყვნენ. ბიზანტიამ მოახერხა სამოქალაქო ომის გაჩაღება საქართველოში, კერძოდ, გადაიბირა ქართველი დიდებული ლიპარიტ ბაღვაში და ასეთ პირობებში მოწინააღმდეგემ შეძლო ბაგრატ IV-ის ჯარის გამოძევება სომეხთა დედაქალაქ ანისიდან. მაგრამ საქართველოს მომავალშიც უნდა განეგრძო ბრძოლა სომხეთისათვის. ჩვენი ქვეყნისათვის მიუღებელი იყო სომხეთში როგორც ბიზანტიელების, ისე თურქ-სელჯუკთა საბოლოო გაბატონება. ასეთ ვითარებაში საქართველოს მეფეები, კერძოდ, ბაგრატ IV, უარს ვერ იტყოდნენ ჩამოესახლებინათ სომხები, მეტადრე მათი მოკავშირე სომხები ჩვენს ქვეყანაში.

***

თურქ-სელჩუკთა შემოსევებმა, დიდმა თურქობამ, მართალია, საქართველოც საშინლად დააზარალა, მაგრამ სომხეთი მთლად მიწასთან გაასწორა. ქართველები, ჩვენი ქვეყნის ჯარი დავით აღმაშენებლამდეც, ასე თუ ისე, ახერხებდნენ თურქ-სელჩუკთა ურდოების წინააღმდეგ ბრძოლას, სომხებმა კი ეს ვერ შეძლეს. სომხური

სახელმწიფოებრიობა სომხეთში თითქმის მთლიანად დასამარდა XI საუკუნეში, სომეხთა დიდი ნაწილიც, მეტადრე, ზედაფენები, სხვა ქვეყნებში გადაიხვეწნენ, გაიფანტნენ. ასეთ პირობებში სომხეთის ბრძოლისუნარიანობაზე, უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ომებში სხვადასხვა სომხური კუთხეების დარაზმვაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

დავით აღმაშენებლის მეთაურობით ქართველი ერის წარმატებებმა თურქ-სელჩუკთა ურდოებთან ბრძოლაში იმედი ჩაუნერგა სომხებსაც. ქართველთა ჯარმა თურქ-სელჩუკთა მძლავრობისაგან გაათავისუფლა, კერძოდ, სომეხთა დედაქალაქი ანისი. ანისის სომეხმა თავკაცებმა თვითონ თხოვეს დახმარება დავით აღმაშენებელს. დავითმა მიზნად დაისახა თურქ-სელჩუკთა ურდოებისაგან გაეწმინდა მთელი ამიერკავკასია, რამეთუ სანამ სელჩუკიანები სომხეთსა და ალბანეთში პარპაშებდნენ, არც საქართველოს ეღირსებოდა მშვიდობა. სომხეთიდან და ალბანეთიდან ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო თურქ-სელჩუკთა ურდოების შემოჭრა საქართველოში. ამის გამოც დავით აღმაშენებელი უარს ვერ იტყოდა სომეხთა თხოვნაზე, რომ ქართველთა ჯარს დაეკავებინა ანისი, გაეწმინდა სომხეთის მხარეები დამპყრობთაგან.

შეიძლება ითქვას, რომ სომხეთი ფეხზე წამოდგა XII საუკუნესა და XIII საუკუნის დასაწყისში საქართველოს წყალობით. ქართული სახელმწიფოს საზღვრებში მოქცეული სომხეთი მოშენდა, სომხური მოსახლეობა კვლავ მომრავლდა, გამდიდრდა და სომხური კულტურის განვითარებაც შესაძლებელი შეიქმნა სომხურ მიწაზე. მაგრამ დაპირისპირება სომხებსა და ქართველებს შორის არც ამ ეპოქაში აღმოფხვრილა. ამის მთავარი მიზეზი ასეთი გახლავთ: X საუკუნემდე ისე ჩანდა, რომ სომხებს უფრო ხელეწიფებოდათ კავკასიაში დიდი სახელმწიფოს შექმნა, კავკასიის გაერთიანება, ვიდრე ქართველებს, რომლებმაც X საუკუნის ბოლომდე ვერ შეძლეს თავიანთი ქვეყნის მტკიცედ გაერთიანება. მაგრამ მოხდა პირიქით: საქართველო გაძლიერდა და თავისი დროშის ირგვლივ მთელი კავკასიაც შემოიკრიბა, ხოლო სომხეთში სომხური სახელმწიფოებრიობა გაქრა, მოისპო. სომეხთა დიდი ნაწილი ამ გარემოებას ვერ შეეგუა, ისინი კვლავ ოცნებობდნენ კავკასიაში პირველობის მოპოვებაზე და ამ მიზნით ქართველთა გასომხებაზე.
სომხები ფიქრობდნენ და ბევრი მათგანი დღესაც ფიქრობს, რომ საქართველო ბუნებრივად სომხეთზე უკეთ იყო დაცული გარეშე მტერთაგან და ამიტომ გადარჩა ქართული სახელმწიფოებრიობა XI საუკუნეში და გაძლიერდა XII საუკუნეში. ზემოთაც ითქვა, რომ ეს თვალსაზრისი არასწორია. ქართველებს, საქართველოს მტერი, შემოსევები არასოდეს კლებია არც ერთი მხრიდან. ბოლოს და ბოლოს, სამხრეთიდანაც, სხვებს რომ თავი დავანებოთ, საქართველოში ხშირი იყო სომეხთა შემოსევები. ქართული სახელმწიფოებრიობა გადარჩა იმიტომ, რომ ქართველები არც X საუკუნეში და არც შემდგომ არ ითვლებოდნენ მოხეტიალე ხალხად, იშვიათად ტოვებდნენ თავიანთ სამშობლოს (დღევანდელ ქართველობაზე, სამწუხაროდ, ეს აღარ ითქმის). X-XI საუკუნეებში, როცა სომხები სხვა ქვეყნებში მიდიოდნენ საცხოვრებლად, ქართველთა შორის, საქართველოში

აშკარად ჩანს `მდუღარებაი ქართულისაი სულისაი~, რამაც შეაძლებინა ქართველ ერს სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებაც და კავკასიის გაერთიანებაც. სომხებს რაკი ეგონათ, რომ საქართველოში უფრო ადვილია მტერთაგან თავის დაცვა, ვიდრე სომხეთში, ამის გამოც სურდათ საქართველოს, ქართველების გასომხება, გასომხურება. როცა საქართველოც ჩვენი იქნება, იქ თავსაც გადავირჩენთ და იქიდან სომხეთსაც დავიცავთო. ამგვარი მიზნები სომხების ნაწილს ამოძრავებდათ საქართველოს ისტორიის ოქროს ხანაშიც. სხვაგვარად ძნელია, მაგალითად, იმის გაგება, რომ ცნობილი სომეხი მწერალი და მოღვაწე მხითარ გოში XII საუკუნეში ლორეს სომხური სამეფოს აღდგენას ითხოვდა. ეს სამეფო X საუკუნეში, როგორც ითქვა, ქვემო ქართლში შექმნეს სომხებმა. ჯერ ერთი, ქართველები ვერ შეურიგდებოდნენ ქვემო ქართლის, კერძოდ, მისი სამხრეთი ნაწილის, ლორე-ტაშირის სომეხთაგან მიტაცებას; მეორეც, გაერთიანებულ საქართველოში აღარ რჩებოდა ადგილი წვრილ-წვრილი სამეფო-სამთავროების არსებობისათვის, რამეთუ ასეთ ვითარებაში საქართველოს, ქართველი ერის გაძლიერება შეუძლებელი იყო. XII-XIII საუკუნეთა სომხური თხზულების, ე. წ. `ხელშეკრულების წიგნის~ მიხედვით, თავის დროზე, თითქოს, რომაელ და სომეხ საერო და სასულიერო ხელისუფალთა შორის გაფორმებულა შეთანხმება, რომლითაც რომაელებს დასავლეთი, ვითომც, თავისთვის დაუტოვებიათ, ხოლო აღმოსავლეთის ქვეყნები, მათ რიცხვში საქართველოც, სომხებისთვის გადაუციათ საპატრონოდ.

XIII საუკუნის სომეხი მოღვაწე, ვართაპეტი წერს: `მესროპმა მისცა მათ (ქართველებს _ გ. კ.) ანბანი და მესროპმავე უკურთხა ვარძიის ჯვარი~. თურმე, ნუ იტყვით, ქართველთა ერთ-ერთი ყველაზე დიდი საოცრება, ვარძია სომეხთა წყალობით შექმნილა. დღესაც, როცა სომეხი კალმოსნები ხშირ-ხშირად იმეორებენ მსგავს ლეგენდებს, შეიძლება ზოგჯერ ხუმრობის ხასიათზეც დავდგეთ და ვთქვათ _ სომხებს რომ ყური ვუგდოთ, იმასაც იტყვიან, რომ სათაფლიაში დინოზავრები სომხეთიდან მოსულან. მაგრამ ეს საქმე სახუმარო არაა. XII-XIII საუკუნეებშიც და შემდგომშიც, დღესაც, სომეხთა გარკვეული წრეები შთააგონებენ თანამემამულეებს და უცხოელებსაც, რომ ქართველები არასრულფასოვანი ხალხია, არაფრის გამკეთებელია და საქართველოში თუ ოდესმე რამე კეთებოდა ან კეთდება, სომხების, ნასომხრების ღვაწლია ეს. ამჟამადაც ასეთი სულისკვეთებით ასწავლიან სომხეთის ისტორიას V-VI კლასის მოსწავლეებსაც კი.

**სტატიის თარიღი: 25.07.03**

## სომხების შემოსევები საქართველოში

**გულაბერ კლარჯი**

რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოში ქართველების წინააღმდეგ სომხები გახადა საყრდენად, ძალზედ მოამრავლა სომხური მოსახლეობაც ჩვენს ქვეყანაში, XIX საუკუნეში სომხები შემოუსია საქართველოს. 1812 წლის კახეთის აჯანყების დროს რუსეთის ხელისუფლებისათვის დიდი სამსახური გაუწევია საქართველოს

სომხურ მოსახლეობას ქართველთა ამბოხების ჩახშობის მიზნით. ამის გამო, რუსეთის იმპერატორმა, ალექსანდრე I–მა სამადლობელი სიგელი გამოუგზავნა საქართველოში მცხოვრებ სომხებს, რომელშიც ეს სომხები რუსეთის ბურჯად მიიჩნია ქართველთა "ურჩობის" ალაგმვის საქმეში.

სულ მალე სიგელს სომხებისათვის რეალური ჯილდოც მოჰყვა შედეგად. 1828–1829 წლების რუსეთ–თურქეთის ომის შემდეგ, 1830 წლიდან, სამცხე–ჯავახეთში რუსებმა დიდი რაოდენობით ჩამოასახლეს სომხები, ხოლო ამ მხარიდან ლტოლვილ ქართველებს უარი უთხრეს დაბრუნებაზე. ერეკლე II–მ რუსეთი იმიტომაც შემოიყვანა საქართველოში, იმედოვნებდა, რომ საქართველოს სამეფო რუსეთის დახმარებით თურქთაგან მიტაცებულ სამცხე–ჯავახეთს, მრავალტანჯულ მესხეთს, ტაო–კლარჯეთსა და სხვა ძველ ქართულ მხარეებს დაიბრუნებსო. მაგრამ რუსეთს, მიუხედავად იმისა, რომ ქართული მიწა–წყლის დაპყრობის სურვილი ჰქონდა, ქრისტიანი ქართველებიც არ უნდოდა, მათ გარუსებას ცდილობდა და მით უფრო არ "წყალობდა" მაჰმადიან ქართველებს. რუსეთის ხელისუფლებისათვის მიუღებელი იყო მაჰმადიან ქართველთა გაქრისტიანებაც, მათი ეროვნული, ქართული ცნობიერების გაძლიერებაც, რადგან ამით ქართველი ერი ძლიერდებოდა.

დღეს სომხები ლაპარაკობენ, წერენ, რომ ჯავახეთი, თითქოს, ყოველთვის სომხური მხარე იყო, ქართველებს მასთან რა გესაქმებათო. ცხადია, ამგვარი გამოხდომები ქართველი ერის შეურაცხყოფაა. მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეთა განმავლობაში ჯავახეთი თურქეთს ჰქონდა მიტაცებული, ამ მხარემ XVIII საუკუნის ბოლომდე შეინარჩუნა ქართული სახე. გიულდენშტედტი ამბობს, რომ ჯავახეთი არის ქართული მხარე.

ძველი ჯავახეთის ქართლთან მტკიცე, ორგანულ კავშირზე მეტყველებს II საუკუნის იბერიის პიტიახშების საკუთარი სახელიც ჯავახ, დადასტურებულია არმაზის წარწერებში (უცხოენოვან წარწერებში ჯავახ გადატანილია ზევახ–ად). ქართული გადმოცემის მიხედვით, ჯავახეთის მითიური მამამთავარი ჯავახოსი შვილიშვილი იყო ქართველთა მითიური წინაპრის, ქართლოსისა, ხოლო შვილი — მცხეთოსისა. ამჯერად შეუძლებელია ჯავახეთის მთელი ისტორიის გადმოცემა, მაგრამ ზოგი რამ მაინც უნდა ითქვას.

ჯავახეთში გავრცელებული იყო გამოთქმა: "ჯავახეთი ოთხმოცჯერ წახდენილია და ოთხმოცდაათჯერ აღშენებულა"–ო. სომხებმა თავისი სამშობლო ვერ დაიცვეს, სხვა ქვეყნებში გაიფანტნენ და არც მტრისგან განუწყვეტლივ აოხრებული ჯავახეთის 90–ჯერ გასაცოცხლებლად მოიკლავდნენ თავს. აოხრებულ, დაჭრილ ჯავახეთს ქართველები უშუშებდნენ იარებს საუკუნეთა განმავლობაში. ამ მხარეში სომეხთა მასობრივი ჩამოსახლებით კიდევ ერთხელ "აღშენებით" აღშენდა ჯავახეთი, მაგრამ სხვანაირად, უკუღმა. ქართველების გასაგისი თითქმის

ამოვარდა და მათ ნაოხრებზე სხვა დამკვიდრდა” (ალ. ფრონელი). რუსეთის მთავრობა და მისი სომეხი დამქაშები სამცხე–ჯავახეთში მარტო მაჰმადიან ქართველებს კი არა, ქრისტიან ქართველებსაც ავიწროებდნენ. სამცხის ქრისტიან ქართველებში გავრცელებული იყო თქმულება: “გენერალი ყოფილა და იმ გენერალმა უთხრა ხალხსაო: ჩქარა, მოშორდით აქედანაო! თუ ჯარი მოვიდა უკანიდანაო, კაი დღე თქვენ დაგადგებათო. ერთს არ გაგიშვანს ცოცხალსაო! — ისინებმა (იმათ) რო ე შიში გაიგნეს (გაიგონეს), გაცვინდეს ორმოებში და მაღაროებში, დაიმალესო, რო გაიგნეს, გამოიარა ჯარმა, ვიდრე ისნები გაიგებენ ი ჯარის ამბავს, ვიდრე ი გენერალმა სომხები გადმორეკა აზრუმიდანო... ჩვენ რო გადმოველითო ტყიდანო, სომხებს დაკავებული ჰქონდათ მამულები და შევრჩით ამ გლახა მიწა–წყალსაო”.

ჯავახეთთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ის თქმულებაც, რომელიც ქართველ მოღვაწეს, ზაქარია გულისაშვილს XIX საუკუნეში ბოჭორმის მთაზე მოუსმენია 80 წლის საგარეჯოელი გლეხისგან, მეტსახელად “ჭიმიასაგან”. “ჭიმია” განთქმული მომღერალი ყოფილა. ამასთანავე, მას მონაწილეობა მიუღია ერეკლე II–ის სიკვდილის შემდეგ მომხდარ ომში თათრების წინააღმდეგ. თქმულება ასეთია: “ამ არე–მარეზედ, რომელიც ამ სიმაღლიდამ მოჩანს, უცხოვრია საქართველოს მეფეს გორგასლიანს. აიმ დახვრეტილ მთას რომ ვხედავთ, ის ყოფილა იმის სასახლე, ნანგრევებში აგერ ეხლაც მოჩანს... ერთხელ გორგასლანი ქართველი ჯარებით ინდოეთს წაბრძანებულიყო სადავლაოდ და ცოლი კი ამ გახვრეტილ გორის სასახლეში დაერჩინა. ამ ძირ–ვაკეში... ცხოვრობდა თურმე ჯავახეთ–გუთნიდედა. იგი თურმე მადლიანი ვაჟკაცი იყო და ხვნა–თესვით ცხოვრობდა, მოსავალიც ზღვა მოსდიოდა. მეფის ცოლი ხვნის დროს ზევიდამ დასცქეროდა ხოლმე. კაი ნამუსის ქალი არ ყოფილიყო და ეს პატიოსანი გუთნიდედა შეეცდინა (ხალხურ გადმოცემებში ხშირია მოტივი, რომ სახელოვან მეფეებს ცოლები ღალატობდნენ — გ. კ.)... მეფეც ინდოეთიდან მაშინ მოვიდა და სასახლეში წაასწრო გუთნისდედას... მეფეს არ მოეკლა ის, მხოლოდ ჯავახეთისკენ გაეძევებინა. ქართლ–კახეთის მოსავალიც თურმე თან გაჰყვა იმ გუთნისდედას და დიდხანს აღარაფერი მოდიოდა ჩვენში, ჯავახეთი კი მოსავლის ზღვად გადაიქცა. მერე გაგზავნეს ჯავახეთს გუთნისდედასთან კაცი, რომ უკან დაბრუნებულიყო, მაგრამ თითონ აღარ ჩამოსულიყო და რამდენიმე ფეშვი კი — ჭირნახულისა გამოეტანებინა. გადააბნიეს თუ არა ეს თესლი, იმ წლიდან ქართლ–კახეთში ისევ მოსავალი დაბრუნდა, მაგრამ ჯავახეთი მაინც დღესაც სჯობნის ორივე მხარეს”. ამ თქმულების მიხედვითაც, ჯავახეთი საქართველოს სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანია. ჯავახეთის სიუხვის შესახებ ლაპარაკია ერთ ქართულ ხალხურ ლექსშიც: “მე ჯავახეთს რა მიშავდა, მთვარე იდგა მზესავითა, კალმახი და ქერის პური წინ მეყარა ბზესავითა”.

***

საქართველო საუკუნეების განმავლობაში საბრძოლო ბანაკს წარმოადგენდა. XIII ასწლეულიდან ქართველთა რაოდენობა თანდათან მცირდებოდა. მიუხედავად ამისა, ქართველი მამულიშვილები კავკასიის კვლავ გაერთიანების იმედს არ

კარგავდნენ და საქართველოში შემოხიზნულ სომხებს შესაფერ სამუშაოსაც უძებნიდნენ. მათ ფართოდ აბამდნენ, კერძოდ, ვაჭრობაში, რაკი მცირერიცხოვან ქართველებს განუწყვეტლივ უხდებოდათ ბრძოლა დამპყრობთა წინააღმდეგ და სამუშაოზეც კი შეიარაღებულნი მიდიოდნენ, თანდათან ქართველების ფსიქიკა ისე ჩამოყალიბდა, რომ ვაჭრის პროფესია ქართველთა შორის საპატიოდ არ ითვლებოდა. ქართველი უპირატესობას ანიჭებდა მეომრობას, რაინდობას. სახელმწიფოს ინტერესი ითხოვდა, რომ ქართველებს ხელი მოეკიდათ ვაჭრობისთვისაც. ამიტომაც წერს იოანე ბაგრატიონი თავის "სჯულდებაში": "პირველი საქმე არს, რითაც შეიძლებოდეს ვაჭრობა დავაგვაროთ ქართველთა კაცთა შორის. ამისათვის, რომელ რისაც სარწმუნოება არის მეფე და ერნი, ვაჭარნიცა მისივე სარწმუნოებისა არის მეფე და ერნი, ვაჭარნიცა მისივე სარწმუნოებისანი უმჯობეს იქმნებიან. ჩვენ თითქმის სომხების და თათრების ვაჭრების ხელის შემხედველნი ვართ და ეს ძლიერება იქმნება ჩვენი, როდესაც ვაჭარნიც ჩვენნი იქნებიან. და ამისათვის გამოვარჩიოთ ქართლიდამ, კახეთიდამ, რაოდენნიმე კაცნი, ისევ ვაჭრებთან ნამყოფნი (ამათ აქამდე ევალებოდათ ვაჭრების დაცვა და კონტროლიც – გ. კ.) და შევაჩვიოთ ვაჭრობას. ამათ ხელი განემართოს საქვეყნოს შემოსავლიდამ, რათა ისწავლონ ვაჭრობაი".

რუსეთის ხელისუფლებისათვის რაკი მიუღებელი იყო ქართველი ერის გაძლიერება, მას ისიც ეწადა, რომ ქართველები ღარიბ–ღატაკნი ყოფილიყვნენ. ამიტომ საქართველოს მთელი ვაჭრობა რუსეთმა უცხოელებს, მათ შორის, სომხებს ჩაუგდო ხელში. ცნობილია, თუ რა ზნედაცემულნი იყვნენ რუსეთის მოხელეები საქართველოში. ვაჭრებიც მათ ჰგავდნენ. სომეხმა ვაჭრებმაც საქართველოში თავი გამოიჩინეს უსინდისობთ, უპატიოსნობით, ქართველი ხალხის მოტყუებით, ყვლეფით. ამის ხარჯზე სომეხმა ვაჭრებმა საქართველოში, კერძოდ, თბილისში, ძვირადღირებული სახლებიც აიშენეს. დღესაც ხშირად გვაყვედრიან ქართველებს ამ სახლებს სომეხთა გარკვეული წრეები. ესეც ხომ უსირცხვილობაა! სხვათა შორის, ამ სახლების დიდი ნაწილი მიწისძვრებმა დაანგრია. 1881 წელს თბილისში, რუსეთის იმპერიის სიძველეთმცოდნეთა V ყრილობაზე ცნობილ პეტერბურგელ აღმოსავლეთმცოდნეს, პროფესორ დ. ხვოლსონს თავის მისასალმებელ სიტყვაში უთქვამს: "მე ბედნიერი ვარ, რომ ვიმყოფები სომხეთის დედაქალაქ ტფლისშიო". სხდომას ესწრებოდნენ და ეს სიტყვები თავიანთი ყურით მოისმინეს აკაკი წერეთელმა და სხვა ქართველმა მოღვაწეებმა. რაღა თქმა უნდა, ისინი საშინლად აღშფოდნენ. ხვოლსონის სიტყვები არ იყო შემთხვევით წამოსროლილი. სომეხთა გარკვეული წრეები მთელს მსოფლიოში გაჰკიოდნენ, რომ საქართველო, ტფილისი, ყოველთვის სომხეთის ნაწილი იყო და თავის "კანონიერ" პატრონს უნდა დაუბრუნდესო. ასევე შთააგონეს დ. ხვოლსონსაც. ასეთ ვითარებაში ილია ჭავჭავაძე იძულებული გახდა დაეწერა "სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადისი" (შემოკლებით "ქვათა ღაღადი" უწოდეს ამ თხზულებას), რომელშიც სასტიკად ამხილა სომეხთა გარკვეული წრეების ანტიქართული, საქართველოში ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესების ფეხქვეშ გასათელად მიმართული გამოხდომები. ილია ამ სომხების მისამართით წერდა: "ჩვენ, ბევრი გვქონდა, თუ ცოტა, შეგივრდომეთ, შემოგიხიზნეთ, გიძმეთ და შინ მტრად ნუ გვეკიდებით".

აკაკი წერეთლის ერთ წერილში ნათქვამია: სომეხთა თბილისელი მოღვაწის, გრიგოლ არწრუნის სიტყვითო, “თფილის–ქალაქი დღეს სომხებისაო! მართალია, საქართველოშია, ძველი ქართველების სატახტო ყოფილა, მაგრამ ისტორიულ სიმართლეს რა ძალა აქვს, უარვყოფ და თფილისი მაინც სომხების არისო!.. სადაც კი სომეხს არშინი შეუტანია, ყველა “ჰაიასტანი” (სომხეთი — გ. კ.) ჰგონია უ(ფალ) არწრუნს”. რაკი დედაქალაქს, სამშობლოს გვართმევდნენ, აკაკიმ დაასკვნა: “რომ რამე მატერიალური სარგებლობა შეუუძლოს, დარწმუნებული ვარ, რომ სომხები ჩვენ დედა ენასაც ხელში ჩაიგდებდნენ”. სომხების მიერ ქართული ეკლესიების მისაკუთრებასთან დაკავშირებით აკაკი ამბობდა: ქართულ ტაძრებში ამოეფხიკათ დავით–თამარის სახელები და მათ ნაცვლად არშაკ–მარშაკები ჩაეწერათო. ილიასა და აკაკის უმცროსი თანამედროვე, რევაზ გაბაშვილიც აღნიშნავდა: “სომხობა აშკარა მტრულ განწყობილებს იჩენდა ყველაფერ ქართულისადმი საქართველოს დედაქალაქში”. “რა კითხვა უნდა, რომ ყველა რუსი და სომეხი საქართველოს დამოუკიდებლობისა კი არა, არსებობის წინააღმდეგიც იყო იმ ხანებში”.

მოხდა ისე, რომ რუსეთის ხელისუფლება XIX საუკუნის ბოლოს, რამდენიმე წლის განმავლობაში, სომხებსაც გაუწყრა. ამის თაობაზე ზემოთ უკვე ნახსენები არაქელ ბაბახანიანი (ლეო) თავის წიგნში — “წარსულიდან”, რომელიც 1925 წელს თბილისში დაისტამბა სომხურ ენაზე, წერს: 1896 წელს კავკასიის მთავარმართებლად დანიშნულმა თავადმა გოლიცინმა მიზნად დაისახაო “დაეჩქარებინა კავკასიის გარუსება. ამის გამო მან, საზოგადოდ, შეიძულა ის ერები, რომლებსაც საკმაოდ მოეპოვებინათ ეროვნული ღირებულებები მასთან დასაპირისპირებლად. მაგრამ განსაკუთრებით მიზანში ამოიღო სომხები, რომელთა მიმართ გოლიცინის სიძულვილი უეჭველად ავადყოფურ მოვლენას წარმოადგენდა... თანდათანობით საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ გოლიცინს დაუშვებლად მიაჩნდა სომეხი ხალხის ცხოვრება დედამიწის ზურგზე. მათი მოსპობა და მხოლოდ ერთი მათგანის დატოვება ანთროპოლოგიური მუზეუმისთვის — აი, ეს იყო ცარიზმის ამ უხეში და ყოყოჩი სატრაპის იდეალი. დაადგა რა ამ გზას, გოლიცინმა უპირველეს საქმედ მიიჩნია კავკასიის დედაქალაქ თბილისში სომეხთმდევნელი პრესის შექმნა. მანამდე სომხების დევნის მოვალეობას ასრულებდა პეტერბურგისა და მოსკოვის სავაჭრო ინტერესების დამცველი პრესა. ახლა კი მათ დაემატა თბილისის ოფიციოზი, გაზეთი “კავკაზი”, რომლის რედაქტორობა გოლიცინმა მიანდო საკმაოდ უნიჭო, შემდგომში სავსებით ხელმოცარულ პოეტ ველიჩკოს. იგი დიდი გულმოდგინებით, კეთილი საქმისათვის სასურველი შეუპოვრობით შეუდგა შეურიგებელი, გამძვინვარებული მტრობის გაღვივებას სომხებისა და, საზოგადოდ, ყოველივე სომხურის წინააღმდეგ... მაშინ, როდესაც ის იწრთობოდა ერთიმეორეზე უფრო უწმაწური, ქუჩური ლანძღვა–გინების ათვისებასა და მთელი ხალხისათვის სილის გაწვნაში, ჩვენ, სომეხი პუბლიცისტები იძულებულნი ვიყავით ეზოპესებურ გამოთქმებში გვეძებნა რაიმეს თქმის შესაძლებლობა...

ველიჩკოს სომეხმოძულე ბოდვას სიამოვნებით შეუწყო ხმა ქრთულმა “კნიაზურმა” პრესამაც. ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკოლაძე და სხვაც მრავალი მათი

მსგავსნი “კავკაზის” პოეტი რედაქტორების ადიუტანტები იყვნენ. თურქებიდან (ნაგულისხმევია აზერბაიჯანელები — გ. კ.) აჰმედ–ბეგ აღაიევმა ააყოლა მას ხმა, ხოლო ერთ მშვენიერ დღეს შუშაში (ყარაბაღში — გ. კ.) ასპარეზზე გამოვიდა ვინმე დალი “აბასი”, ადრე პოლიციის მოხელე, ყომარბაზი და ლოთბაზარა, რომელმაც აგრეთვე ჩაწიხლა სომხები”.

ილიას, აკაკის და სხვა ქართველ მოღვაწეებს ველიჩკო რომ არ უყვარდათ, ამის შესახებ მასალები საკმაოდ მოიპოვება. მათ არც სომხები ჩაუწიხლავთ, მხოლოდ და მხოლოდ თავიანთ მრავალტანჯულ სამშობლოს იცავდნენ. ლეოს და მის თანამოაზრეებს კი არ ეჭაშნიკებოდათ, რომ საქართველოს ჰყავდა ისეთი დიდი მამულიშვილები, როგორიცაა ილია, აკაკი და სხვები. ქართველი მოღვაწეები ხომ მათ ანტიქართულ პარპაშს საქართველოში არ ითმენდნენ, ამხელდნენ. ილია, აკაკი და მათი თანამებრძოლები მოქმედებდნენ პრინციპით: “სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენც ნურვინ შეგვეცილება”... ქართველებს სამშობლოს ართმევდნენ რუსებიც, სომხებიც და ჩვენს მოღვაწეებს, ბუნებრივია, არ ექნებოდათ დიდი სურვილი ჩარეულიყვნენ რუს–სომეხთა დროებით დაპირისპირებაში, გაეშველებინათ ისინი.

**სტატიის თარიღი: 08.08.03**

## სომხების შემოსევები საქართველოში

**გულაბერ კლარჯი**

გაგრძელება

უკვე აღინიშნა, რომ თავის დროზე სპარსეთის და არაბეთის იმპერიებმა შეძლეს გაემწვავებინათ სომხური ეკლესიის ურთიერთობა ბიზანტიის ეკლესიასთან.

ცხადია, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ქრისტიანული ბიზანტიის იმპერიაც დამპყრობელი იყო როგორც სომხებისთვის, ისე ქართველებისთვის. მაგრამ ამ შემთხვევაში ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ საქართველოს გაძლიერებით შეშფოთებული ისლამური სამყარო ცდილობდა სომეხ-ქართველთა, სომხურ-ქართული ეკლესიების დაპირისპირების გაღრმავებას, მათი ურთიერთობების გაუარესებას. ისლამურ წრეებს იმედი ჰქონდათ, თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენებდნენ იმ გარემოებას, რომ სომეხთა დიდი ნაწილი ვერ ეგუებოდა ქართველი ერის გაძლიერებას, ქართული დროშის გარშემო კავკასიის შემოკრებას. სომეხი მემატიანის, კირაკოს განძაკეცის სიტყვით, სომხეთში მდებარე გარნისში ჯალალედინის ურდოებთან ბრძოლის (1225 წ.) წინ, ქართველები, თურმე, “უზომო ყოყლოჩინობითა და ამპარტავნებით პირობას დებდნენ (რომ), უკეთუ სძლიონ მას (ჯალალედინს — გ. კ.), მათი ხელისუფლების ქვეშ მყოფ ყოველ სომეხს ქართველთა რჯულზე მოაქცევდნენ, ხოლო წინააღმდგომთ მახვილით მოსპობდნენ". კირაკოსიცა და მეორე სომეხი მემატიანე ვარდანიც გარნისში ქართველთა მარცხის მიზეზად მიიჩნევდნენ ქართველთა ძალადობას

მონოფიზიტი (გრიგორიანი) სომხების “ქართულ რჯულზე" (მართლმადიდებლლბაზე) მოქცევასთან დაკავშირებით, აგრეთვე ქართველების მიერ სომეხთა წმინდანის საფლავის წაბილწვას. ცნობილია, რომ დავით აღმაშენებლიც და თამარ მეფეც დიდ სიფრთხილეს იჩენდნენ სომხებთან, სომხურ ეკლესიასთან ურთიერთობაში. არც რუსუდანის მეფობის ჟამს დაუშვებდა საქართველოს სამეფო კარი სომეხთა შევიწროებას, მით უმეტეს, რომ რუსუდანის უპირველესი ვეზირი სომეხი თუ გასომხებული ივანე მხარგრძელი იყო. სომეხ მემატიანეთა მოტანილ ცნობებში სინამდვილეში ასახულია ის ფაქტი, რომ ისლამურმა სამყარომ, კერძოდ, ჯალალედინმა და მისმა დამქაშემა შეძლეს კიდევ უფრო მეტად დაპირისპირება ქართველებისადმი და ეს გახდა ერთ–ერთი ძირითადი მიზეზი საქართველოს ჯარის სასტიკად დამარცხებისა. კავკასიის გაერთიანების გზაზე საქართველოს მრავალი დაბრკოლება ეღობებოდა წინ, მაგრამ ამ მხრივ დიდი იყო წარმატებაც. ამის დასტურად შეიძლება სომხური მასალების მოტანაც... ზოგიერთი სომეხი, როგორც ეტყობა, მომხრე იყო კავკასიის ერთიანობისა, თუნდაც საქართველოს, ქართველი ერის მეთაურობით. XII–XIII საუკუნეებში ეს სომხები სხვა გამოსავალს ვერ ხედავდნენ. ასე, მაგალითად, სომეხი მწიგნობარი ტირაცუ ერევანცი 1336 წელს ყირიმში წერდა: “მოველი საქართველოდან, ხორ–ვირაპისა და ეჯმიაწინის (ეჩმიაძინის – გ. კ.) მეზობელ შესანიშნავ ქალაქიდან ერევნიდან". მაშასადამე, ტირაცუ ერევანცი თავის მშობლიურ ქალაქს, ერევანს საქართველოს ნაწილად მიიჩნევს XIV საუკუნეშიც. ცხადია, ამის გამო ქართველებმა სომეხთა დიდ ნაწილს არ უნდა მივბაძოთ და ერევანი ქართველების ქალაქად არ უნდა გამოვაცხადოთ. ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, გიორგი ლასხიშვილი თავის “მემუარებში" წერს: “საპატიმრო ვაგონში შემოიყვანეს კიდევ ორი ტუსაღი, ერთმა მათგანმა მაშინვე მიიქცია ჩვენი ყურადღება: მაღალი, მშვენიერი, ტანადი, ჩვენებურად გამოწყობილი მოხუცი, იმერელ თავადად მივიღეთ, სალდათებმა იგი ჩვენთან დასვეს. აღმოჩნდა, რომ ახოვანი მოხუცი ყაბარდოელი იყო. მე პირველად ვხედავდი ჩრდილოკავკასიელს და ცნობისმოყვარეობით გამოვესაუბრე. რუსულად მშვენივრად ლაპარაკობდა, თითქმის უაქცენტოდ და არცთუ მაინც და მაინც უსწავლელი იყო. მერე ჩვენ გამოგვკითხა ვინაობა. როცა გაიგო, ქართველები ვიყავით, სიამოვნება გამოაცხადა. კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ ღრმად ამოიოხრა და თქვა:

— როცა კავკასიის მზე ჩაესვენა, მთელი ჩვენი ქვეყანა მაშინ დაიღუპა. მე ვიფიქრე. შამილს გულისხმობს–მეთქი და ამიტომ რაღაც იმის შესახებ ვკითხე.

— არა, ყმაწვილო, — მიპასუხა მოხუცმა, — მე შამილზე როდი მითქვამს. კავკასიის მზე — საქართველო იყო. საქართველომ თავი დაიღუპა და კავკასიაც თან გაიყოლია".

ყაბარდოელი მოხუცი საქართველოსა და კავკასიის დაღუპვით უსათუოდ გულისხმობდა მეფე ერეკლეს მიერ რუსების შემოყვანას კავკასიის ცენტრში, საქართველოში (ამის შესახებ ქვემოთ). კავკასიის მზის, საქართველოს ჩასვენება, ბევრი მიზეზის გამო, XIII საუკუნიდანვე დაიწყო. ერთ–ერთი მთავარი მიზეზი ისიც იყო, რომ სომეხთა დიდი ნაწილი ვერასოდეს შეეგუა კავკასიის მზედ საქართველოს მიჩნევას. მათ ასეთად ეწადათ სომხეთი ან გასომხურებული, გასომხებული საქართველო ეხილათ. არადა, კავკასიის მზე რომ არ ჩასვენებულიყო, კავკასია დღეს უკეთესი იქნებოდა, თვითმყოფადობასაც უფრო

შეინარჩუნებდა.
***
XIII საუკუნიდან მოყოლებული, დამპყრობლები ყოველთვის ცდილობდნენ საქართველოში საყრდენად სომხები გაეხადათ. ამასვე შვრებოდნენ მონღოლებიც. ასე, მაგალითად, დავით ულუ რომ აუჯანყდა მონღოლებს, ამათ თბილისის მართვა–გამგეობა სომეხ ვაჭარს, ვინმე შადინს მიანდეს. მიუხედავად ამგვარი ფაქტებისა, ქართველები, საქართველოს ხელისუფლება უარს არ ეუბნებოდნენ თავიანთი ქვეყნიდან გამოქცეულ, ლტოლვილ სომხებს საქართველოში დასახლებაზე, შემოხიზვნაზე. საქმე ისაა, რომ ქართველები იმედოვნებდნენ, კვლავ შეხვდებოდნენ ოქროს ხანის აღდგენას, დაბრუნებას, მთელი კავკასიის გაერთიანებას და ამიტომ მარტო სომხებს კი არა, საერთოდ კავკასიელებს, კერძოდ, ჩრდილოკავკასიელებსაც უღებდნენ თავიანთი ქვეყნის კარს, შემლებისდაგვარად მასპინძლობდნენ. საამისო ფაქტები საკმაოდ უხვად მოიპოვება. 1437 წელს დაწერილი სომხური ხელნაწერის ანდერძ–მინაწერში ნათქვამია: ხელნაწერი წიგნი დამზადდა "სანაინის მონასტერში... საქართველოში ღვთისმსახური ალექსანდრეს მეფობისას". სანაინის სომხური მონასტერი ლორე–ტაშირში მდებარეობდა. აქ საქართველოს ისტორიის ოქროს ხანაში ცხოვრობდნენ სომხები. გადამწერი განაგრძობს: "სასოწარკვეთილი ვარ დროის სისასტიკისა და სომეხთა ქვეყნის მრავალი ვაების და აოხრების გამო, რამეთუ მოვიდა შეჩვენებული, ბოროტი, მძლავრი და ანტიქრისტეს წინამორბედი, ძე სატანისა შაჰრუხი, ლანგ–თემურის შვილი, ტომით სპარსი (სპარსელი აქ მაჰმადიანს ნიშნავს — გ. კ.), იგი სამხრეთიდან დაიძრა დიდი ლაშქრით, ურიცხვი მხედრობით, მოვიდა და დააქცია ჩვენი ქვეყანა, გაძარცვა და დაატყვევა ყოველივე... უბედურებისა და ვაების ნაირ–ნაირი მწუხარებისა და ჩვენი დროის სისასტიკის დაწერა ვის ძალუძს, რამეთუ ეს მესამედ მოსვლა და დარბევა იყო, ჩვენი ეკლესიები სიბნელემ მოიცვა. ჩვენი წმიდა მოციქულის ევსტათეს ანგელოზთა სამკიდრო ტახტი დაარბიეს, მიწასთან გაასწორეს და, საერთოდ, სახლები გადაწვეს, ყოველი მონაგები მიიტაცეს. ჩვენი ძმობის წევრები გავიქეცით და გავიფანტეთ ბართველთა ქვეყანაში, ჩვენს ღვთითმომადლებულ მთავართან, ყოვლად კურთხევის ღირს ერისთავ ბეშქენთან, წარჩინებულთან და ხალხთა ერთად. ამ მიზეზის გამო დავმკვიდრდით სანაინის ამ წმიდა მონასტერში. მრავალი სიმწარისა და გაურკვევლობის გამო ვერ ვისვენებდით ვერც დღისით და ვერც ღამით, რადგან დააქციეს ჩვენი ქვეყანა და ბნელმა მოიცვა ეკლესიები".

**სტატიის თარიღი: 15.08.03**

## სომხების შემოსევები საქართველოში

**გულაბერ კლარჯი**

გაგრძელება

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ისევ ლორე–ტაშირში, ახპატის მონასტერში 1438 წელს დაწერილი სომხური ხელნაწერის ანდერძ–მინაწერიც: ..."თემურის ძე, შაჰრუხად სახელდებული, დიდძალი მხედრობით, სასტიკი, გულქვა, უწყალო და

ქრისტიანთა სისხლს მოწყურებული, ოთხგზის დაესხა თავს თავრიზის ქვეყანას და დიდი, ენით უთქმელი ზიანი მიაყენა სომხეთს, რამეთუ ზოგი მახვილით მოსრეს, ზოგი შეუბრალებლად ტყვედ წაასხეს და წარწყმიდეს. სხვები შიმშილისაგან მისიკვდილებულიყვნენ, მათგან ზოგი მოკვდა, ზოგიც მგლებმა და მხეცებმა შეჭამეს, დაგლიჯეს, ხოლო დანარჩენი, განადგურებულები აქეთ–იქით მიაწყდნენ და მიაშურეს საქართველოს. სრულიად გაუკაცრიელდა და აოხრდა ჩვენი ქვეყანა...

ამ სასტიკ და უბედურების ხანაში, დიდ გაჭირვებასა და სიღატაკეში დავაწერინე ეს წიგნი უცხო ქვეყანაში, საქართველოში ოჰანეს მღვდელს, ახპატის მონასტერში". როგორც ვხედავთ, ხელნაწერის შემკვეთი, მომგებელი ასტვაწატური საქართველოს იმ მხარეს, რომელშიც მდებარეობდა ახპატის მონასტერი, ე. ი. ლორე–ტაშირს სომეხთათვის უცხო მხარედ მიიჩნევს. დღეს კი სომხებს ამის გაგონება არ უნდათ, რადგან საქართველოს შავბედობის გამო ლორე–ტაშირი ჩვენს ქვეყანას მოგლიჯეს და სომხეთს გადასცეს ბოლშევიკური რუსეთის იმპერიის მესვეურებმა. XVI საუკუნის ერთ თურქულ დოკუმენტში ნათქვამია: "სეიდ ჩუქურის რეაიას (ე. ი. ერევნის მხარის გლეხების — გ. კ.) უმრავლესობამ თავისი ოჯახის გამოსაკვებად ლუკმა–პურისათვის საქართველოს მიაშურა". ძალიან ხშირად ხდებოდა ასე. მოგვიანებით კი იმ ქართულ მიწებზე, რომლებზეც ქართველებმა სომხები შემოიხიზნეს, სომეხთა გარკვეულმა წრეებმა პრეტენზია განაცხადეს. ისინი ცდილობდნენ დაერწმუნებინათ შინაური თუ გარეშე, რომ როცა სომხები სხვა ქვეყნებში გაიფანტნენ, სომხური მიწები სპარსელებთან და თურქებთან ერთად ქართველებმაც მიიტაცესო. სპარსელებმა და თურქებმა ნახევარი საქართველოც მიიტაცეს, ქართველი ერი სისხლის უკანაკნელ წვეთამდე იბრძოდა დაკარგული ქართული მიწა–წყლის უკან დასაბრუნებლად და ამ დროს მას ცხელოდა სომხური მხარეების მისატაცებლად? იგივე ლორე–ტაშირის დამპყრობთაგან გასათავისუფლებლად გაჭირვებული, თემურ–ლენგისგან და სხვა მტარვალთაგან აწიოკებული ქართველები, ერი და ბერი, ჯვაროსნულ ომებს აწარმოებდნენ (ასეთი იყო, მაგალითად, 1431 წლის ომი) და უმძიმეს მდგომარეობაში მყოფ ჩვენს წინაპრებს განა შეეძლოთ ლორე–ტაშირისთვის ზღვა სისხლი გაეღოთ, დაეღვარათ, თუ დარწმუნებული არ იყვნენ, რომ ლორე–ტაშირი ძირძველი ქართული მხარეა? 1431 წლის ლორესათვის ომში ქართველეთა კათალიკოსი თევდორე მიმართავდა ჩვენს მეომრებს: თავს ნუ დაიზოგავთ მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელი თქვენგანიც ბრძოლის ველზე დაეცემა, ქრისტე სამოთხეში დაამკვიდრებსო, ხოლო ვინც დაიჭრება და აუტანელი ტვიკილები შეაწუხებს, ქრისტე ამას უყურადღებოდ არ დატოვებსო.

ამ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ, რომ ერეკლე II–მ არაერთხელ დაიმორჩილა ერევნის სახანო. მაგრამ იმ დროს ერევნის სახანოში სომხები მცირე რაოდენობით ცხოვრობდენ. მოსახლეობის უმრავლესობას გარედან მოსული მაჰმადიანები შეადგენდნენ. ერევნის სახანოს სპარსელებიც და თურქებიც ბაზად, საყრდენად იყენებდნენ ისედაც დასუსტებული, დაქუცმაცებული საქართველოს წინააღმდეგ, ჩვენი ქვეყნის საბოლოოდ დასაპყრობად და გასათათრებლად. ასეთ

ვითარებაში ქართლ–კახეთის მეფე თუკი შეძლებდა, ცხადია, ეცდებოდა, დროებით მაინც დაექვემდებარებინა ერევნის სახანო. გარდა ამისა, საქართველოში XVIII საუკუნეშიც ცოცხლობდა იდეა კავკასიის გაერთიანებისა და ერეკლესათვის თუ სხვა ქართველებისათვის მიუღებელი იყო სომხეთის, კერძოდ, ერევნის მხარის მაჰმადიანთა სამკვიდროდ გადაქცევა. ასე რომ, ერეკლე II ამ შემთხვევაში დავით აღმაშენებლისა და სხვა ქართველი მეფეების მსგავსად, სომხეთის გათავისუფლებაზე ფიქრობდა და არა დაპყრობაზე.

“ქართლის ცხოვრებაში" ერთგან ვკითხულობთ: 1555 წლის სპარსეთ–თურქეთის ზავითო, “დარჩა სულტანს... სომხითი, რომელსა აწ ქურთისტანად სახელესდებენ". XVIII საუკუნის ცნობილი გერმანელი მოგზაური, სწავლული გიულდენშტედტი ამბობს: “თურქმანული, თურქების კუთვნილი მხარე ყარსი"; “ამჟამად თურქული, ძველად სომხური მხარე ერევანი". ქართველ ერს თავგანწირვით რომ არ ეომა საუკუნეთა განმავლობაში, რომ არ დაღვრილიყო ჩვენი წინაპრების ზღვა სისხლი დამპყრობთა წინააღმდეგ უთანასწორო ომებში, მთელს კავკასიას ემუქრებოდა სრული გადაჯიშების, გადაშენების საფრთხე. ასეთ მდგომარეობაში, ცხადია, ქართველთა ჯარს საბრძოლო ოპერაციები, როცა შეძლებდა, სომხეთის საზღვრებშიც უნდა გადაეტანა, მაგრამ თუ ვინმე ნამდვილად მოინდომებს სამართლიანობის დაცვას, სიმართლის გარკვევას, ადვილად დარწმუნდება, რომ ლორე–ტაშირი ქართული მიწაა, ხოლო ერევანი — სომხური. საქართველოში მცხოვრები სომხების თავის საყრდენად გამოყენება ქართველთა სისხლისმსმელ შაჰ–აბასსაც მოუნდომებია. მას მიუმხრია, კერძოდ, თბილისელი სომხები, რომლებიც გიორგი სააკაძის წინააღმდეგ მოქმედებდნენ, მხარს უჭერდნენ ყიზილბაშებს. გიორგი სააკაძეს კიცხავს წარმოშობით სომეხი მემატიანე, გორელი ფარსადან გორგიჯანიძეც. როგორ მისცა თავის უფლება სააკაძემ, როგორ გაბედა შაჰ–აბასის წინააღმდეგ აჯანყებაო. ღვთის მადლით, როცა ამას საქართველოს სასიცოხლო ინტერესები მოითხოვდა, ქართველები შაჰ–აბასის, თემურ ლენგისა და ნებისმიერი მტარვალის, სისხლისმსმელის წინააღმდეგ აჯანყებას, ბრძოლას ბედავდნენ და თუ მთლად ვერა, ნაწილობრივ მაინც მიზანსაც აღწევდნენ, ავად თუ კარგად ახერხებდნენ სამშობლოს დაცვას, სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებას.

შაჰ–აბასს რომ ემხრობოდნენ, სომხებს თავიანთი ინტერესები ჰქონდათ საქართველოში. მათი ერთი ნაწილი მაინც იმედოვნებდა, რომ სპარსეთის ბატონობა, როცა იქნებოდა, დასრულდებოდა და ამთავითვე უნდა ვიზრუნოთ ქართველთა გასომხებაზე, საქართველოს გასომხურებაზეო. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ასეთი ფაქტიც: შაჰ–აბასის გარდაცვალებიდან სულ მალე, XVII საუკუნის 30–იან წლებში ქართველი ყმაწვილის, ნასყიდას გაკათოლიკების გამო დიდი აურზაური ამტყდარა. ამასთან დაკავშირებით სასამართლოზე ნიკიფორე ირბახს (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს) უთქვამს: “ყოველდღივ ჩვენის თვალით ვხედავთ, რომ მრავალნი ქართველნი სომხდებიან, და უფო მომეტებული მათგანი მაჰმადის სარწმუნოებასაც ღებულობს, ქართველთა ნაწილის გამაჰმადიანება, გათათრება იმ ხანებში გასაგებია, რამეთუ ძალა აღმართს ხნავს, მაგრამ საქართველოში

ქართველთა გასომხება რაღა უბედურებაა, საიდან გამოტყვრა ეს ჭირი? რა თქმა უნდა, სომეხთა გარკვეული წრეები სარგებლობდნენ ქართველთა გასაჭირით, სისხლისგან დაცლით და ზოგიერთ, თუ მრავალ ქართველს ასომხებდნენ, სომხურად ნათლავდნენ, აგრიგორიანებდნენ.

1629 წლის ერთი სომხური ხელნაწერის ანდერძ–მინაწერში თბილისს სომეხთა ქალაქი ეწოდება. არადა, იმ დროს თბილისი ქართველების სამეფოს დედაქალაქი იყო და, ტრადიციულად, მთელი საქართველოს, ქართველობის სატახტო ქალაქად მიიჩნეოდა, აღიქმებოდა. ამ შემთხვევაშიც სახეზეა, დასტურდება სომხური გეგმა თბილისისა და მთელი საქართველოს გასომხურების შესახებ. ცხადია, რაკი თბილისის გასომხურებაზე, ქართველების გასომხებაზე ფიქრობდნენ, ქართული ეკლესიების მიტაცებასაც ცდილობდნენ და ახერხებდნენ კიდეც საქართველოშიც და მის საზღვრებს გარეთაც. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ თბილისის ქართული, ბეთლემის ტაძარი, რომელიც სომხებმა მიისაკუთრეს და ფეთხაინად გადანათლეს. რაკი სომხები გარბოდნენ სომხეთიდან, ეჯმიაწინს სჭიროდა სამწყსო არა მარტო შორეულ, არამედ მეზობელ, მომიჯნავე ქვეყანაში, საქართველოშიც ჰყოლოდა.

*  *  *

XIX საუკუნის დასაწყისში, რუსეთის მიერ სომხეთის შეერთების კვირაძალში, სომხეთში მხოლოდ 25 ათასი სომეხი ცხოვრობდა. დანარჩენი, მაჰმადიანები, ქურთები და სხვები შეადგენდნენ სომხეთის მოსახლეობას, სომხურმა წრეებმა იმედები დაამყარეს რუსეთის იმპერიაზე, სომხეთის მკვდრეთით აღდგომა რუსეთის დახმარებით მიაჩნდათ შესაძლებლაად. ამისათვის აუცილებელი იყო რუსეთის გაბატონება საქართველოში. სხვანაირად, იმდროინდელ პირობებში, რუსეთი სომხეთს ვერ უპატრონებდა.

ქართველ ერს, მართალია, უჭირდა უზარმაზარ ისლამურ სამყაროსთან, სპარსელებთან (ყიზილბაშებთან), თურქებთან, ლეკებთან და სხვებთან გამკლავება და ე. წ. ერთმორწმუნე რუსეთის დახმარებას, მფარველობას საჭიროებდა, მაგრამ ქართველთა დიდი უმრავლესობა არ იყო მომხრე ათას ქარცეცხლში გამოტარებული ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმებისა, დამხობისა. ერეკლე II, 1783 წელს რუსეთთან ტრაქტატს რომ დებდა, დარწმუნებული იყო, რომ რუსეთი ქართულ სახელმწიფოებრიობას ხელს არ ახლებდა. უფრო მეტიც, ერეკლეს და სხვა ქართველებსაც სჯეროდათ, რომ რუსეთის მფარველობით საქართველო გაძლიერდებოდა, გაერთიანდებოდა და თურქეთაგან და სარსთაგან მიტაცებულ ქართულ მიწებსაც დაიბრუნებდა. რას სთავაზობდა ამის სანაცვლოდ საქართველო რუსეთს? იმდროინდელ ვითარებაში რუსეთისთვის ძალიან ძნელი იყო კავკასიაში გავლენის მოპოვება. თუ საქართველოში რუსეთი ქართველთა თანხმობით შემოდგამდა ფეხს, რუსულ ჩექმას, ამით მთელს კავკასიას მოაქცევდა თავის გავლენის ქვეშ, რაც რუსეთის ხელისუფლებას აუცილებლად მიაჩნდა თავისი შორს მიმავალი პოლიტიკური გეგმების განსახორციელებლად. რუსეთის იმპერიამ ერეკლე II და მისი თანამოაზრე ქრთველები მწარედ მოატყუა.

1783 წლის ტრაქტატით გაცოფებულმა ისლამურმა სამყარომ გაორკეცებული ენერგიით შემოუტია საქართველოს. ტრაქტატის პირობით, რუსეთი უნდა დახმარებოდა ასეთ შემთხვევაში ქართლ-კახეთს. მაგრამ დახმარება ან საეთოდ არ ჩანდა, ან ძალზე უმნიშვნელო იყო. ამის გამო ქართლ-კახეთის მოსახლეობა 1783-1801 წლებში განახევრდა. რუსეთს საქართველოს დაპყრობა, ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობა გადაეწყვიტა და ეს რომ ადვილად, თავისთვის უმტკივნეულოდ მოეხერხებინა, საქართველოს დასუსტება, სისხლისგან დაცლა აწყობდა, ხელს აძლევდა. საქართველოში აღამაჰმადხანობაც დროებით მისაღები იყო რუსეთისათვის. რუსეთმა ქრისტეს, ქრისტიანობის სახელით მოატყუა, გააცურა ბრძოლისაგან გაუთავებელი ომებისგან დაღლილი, მშვიდობას დანატრებული ქართველი ერი. ამით რუსეთმა შეაგინა ქრისტე, ქრისტიანი. ამ დროს რუსეთს მხარში ედგნენ სომეხთა გარკვეული წრეები, კერძოდ, საქართველოში მცხოვრები სომხების ნაწილი. რუსეთის ხელისუფლებამ სომხეთში დააბრუნა სხვა ქვეყნებში გაფანტული სომხები, სომხეთი მკვდრეთით აღადგინა. ამასთანავე, რუსეთმა სომხურ ეკლესიას, ეჯმიაწინს შეუნარჩუნა ავტოკეფალია, ხოლო ქართული ეკლესიის ავტოკეფალია მოსპო 1811 წელს. ამით სომხებმა უპირატესობა მოიპოვეს ამიერკავკასიაში ქართველებთან შედარებით. რუსეთში ბევრი სომეხი ცხოვრობდა, ზოგი მათგანი დაწინაურებულიც იყო რუსეთის სამსახურში და სომხებმა ყველაფერი თავიანთ სასარგებლოდ და საქართველოს საწინააღმდეგოდ გათვალეს. მათ საქართველოს დასამარების მიზნით მიიმხრეს საქართველოს სომხური მოსახლეობის ერთი ნაწილიც, კერძოდ, ისინი, ვინც დაწინაურებული იყვნენ ერეკლე II-ის სამეფო კარზე, მის სამსახურში. სომეხთა ამ წრეებს აწყობდათ ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობა, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება და ძალაც არ დაუზოგავთ, ოღონდ მიზნისათვის მიეღწიათ.

დამპყრობლები, როგორც სპარსეთ-თურქეთის, ასევე რუსეთის იმპერიები ყოველი ღონით ცდილობდნენ გაეჩინათ, გაემრავლებინათ აგენტები საქართველოს სომხურ მოსახლეობაში. მათ ეს სომხები გამოიყენეს როგორც კრწანისის ომში ქართველთა ჯარის დასამარცხებლად, ასევე რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის მიზნით. ამის თაობაზე არსებობს სხვადასხვა სახის ცნობები, გადმოცემები.